

დანართი №5. სასათბურე მეურნეობის მოწყობის შესაბამისობის კრიტერიუმები

ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია	სავალდებულოა სათბურთან მისასვლელი გზის არსებობა (სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების მიზნით).
	სავალდებულოა სათბურის მოსაწყობ ნაკვეთამდე მიყვანილი იყოს სარწყავი წყალი, საიდანაც შესაძლებელია სათბურის წყლით მომარაგება.
	სავალდებულოა ნაკვეთზე არსებობდეს ელექტროენერგიის წყარო (მათ შორის მზის პანელები).

პარამეტრი	ზღვრები		ტექნიკური შესაბამისობის დათქმა
	მინ.	მაქს.	
წერტილოვანი სამირკველი – გრუნტში ჩასვლის სიღრმე	50 სმ.	საჭიროების მიხ.	არასავალდებულო
წერტილოვანი სამირკველი – გალვანიზებული ლითონის ანკერების პარამეტრები: ბეტონში შესვლის სიღრმე	50 სმ.	კონსტრუქციული საჭიროებისამებრ	არასავალდებულო
*სათბურის გვერდითა კედლის სიმაღლე	2,2 მ.	2,5 ან მეტი – კონსტრუქციული საჭიროებისამებრ	სავალდებულო
**თაღის ამალღება (საყრდენი თაღი)	40°	45°	სავალდებულო
მზიდ კონსტრუქციებს შორის მანძილი	2.0 მ.	2.5 მ.	სავალდებულო
*კეხის სიმაღლე	3,5 მ.	5 მ. ან მეტი-კონსტრუქციული საჭიროებისამებრ	სავალდებულო
საყრდენ ბოძებად გამოყენებული ლითონის კვადრატული პროფილის (გალვანიზებული ან სრულად შეღებილი) განივი კვეთი და კედლის სისქე	5X 5სმ	5სმ X 5სმ ან მეტი - კონსტრუქციული საჭიროებისამებრ	სავალდებულო
	2,5 მმ.	2,5 მმ. ან მეტი - კონსტრუქციული საჭიროებისამებრ	
საყრდენ ბოძებად სტანდარტული მილის (გალვანიზებული ან სრულად შეღებილი) გამოყენების შემთხვევაში – გარე დიამეტრი და კედლის სისქე	48 მმ.	48 მმ. ან მეტი – კონსტრუქციული საჭიროებისამებრ	სავალდებულო
	2,5 მმ.	2,5 მმ. ან მეტი - კონსტრუქციული საჭიროებისამებრ	
სავენტილაციო ფანჯრების საერთო ფართობის %-ული შეფარდება იატაკის, ანუ სათბურის საწარმოო (დახურული გრუნტის) ფართობთან	20%	ან მეტი -კონსტრუქციული საჭიროებისამებრ	სავალდებულო

გადასახური მასალა	გადასახურ მასალას უნდა ჰქონდეს წაღმა/უკუღმა მხარე; ა) სასათბურე ფირი უნდა იყოს მრავალშრიანი (მინიმალური დამცავი დანამატებით: UV, AV, EVA)/ ბ) ან სასათბურე დანიშნულების მინა, პოლიკარბონატი (დამცავი დანამატებით: UV, AV, EVA); სამაგრი პროფილები და მწერებისგან დამცავი ბადეები	სავალდებულო
-------------------	--	-------------

*სეზონური სათბურის შემთხვევაში, რომელიც არ ითვალისწინებს გათბობის სისტემის მონტაჟს და კონსტრუქციაზე მძიმე ტექნოლოგიური აღჭურვილობის დატვირთვას, გვერდითა კედლის სიმაღლის მინიმალურ ზღვრად განისაზღვრება 2.2 მეტრი, ხოლო ქედის (კეხის) სიმაღლედ – 3.5 მეტრი. არასეზონური (გათბობის მქონე) სათბურებისათვის, ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურობისა და თერმორეგულაციისათვის, გვერდითა კედლის სიმაღლის მინიმალური დასაშვები ზღვარია 2.3 – 2.5 მეტრი, ხოლო ქედის (კეხის) სიმაღლე – 3.5 მეტრიდან 5.0 – 6.0 მეტრამდე, ბენეფიციარის მიერ შერჩეული კონსტრუქციული საჭიროებისამებრ, საწარმოებელი კულტურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით.

** თაღის ამღლების კუთხე იზომება ჰორიზონტალური სიბრტყიდან თაღის საწყის წერტილში.

თაღის დახრის კუთხე უნდა უზრუნველყოფდეს ატმოსფერული ნალექების თავისუფალ ჩამოცურებას და ნაგებობის კონსტრუქციულ მდგრადობას.

მოცემული მიზნით დახრის კუთხე განისაზღვრება 40° – 45° ფარგლებში, ხოლო მაღალი თოვლის დატვირთვის მქონე რეგიონებში – ინდივიდუალური კონსტრუქციული საჭიროებისამებრ.